საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

**2-19910/23**
**04-12-2023**

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ყ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ, რათა 1992-2004 წლებში, III, IV, V მოწვევის პარლამენტის წევრი, IV და V მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე და 2004-2005 წლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია დაჯილდოვდეს თავისუფლების საპარლამენტო ორდენით (სიკვდილის შემდეგ), მის მერ პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ზურაბ ჟვანიამ, როგორც სამი მოწვევის პარლამენტის წევრმა და ორი მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარემ, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის სისტემატიზაციასთან ერთად, მისი, როგორც ძლიერი საზედამხედველო ინსტიტუციის ჩამოყალიბებაში.

მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ დაფასდეს მისი ღვაწლი ქართული პარლამენტარიზმის განვითარებასა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების კონტექსტში.

პატივისცემით,

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge